როცა მოვა რამადანი, გაიღება სამოთხის კარიბჭეები, დაიხურება ჯოჯოხეთის კარიბჭეები და სატანები შებოჭილნი იქნებიან

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როცა მოვა რამადანი, გაიღება სამოთხის კარიბჭეები, დაიხურება ჯოჯოხეთის კარიბჭეები და სატანები შებოჭილნი იქნებიან».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ როცა დგება რამადანის თვე, ხდება სამი რამ: პირველი: იღება სამოთხის კარიბჭეები, და არც ერთი მათგანი არ დაიხურება. მეორე: იხურება ჯოჯოხეთის კარიბჭეები, და არც ერთი მათგანი არ გაიღება. მესამე: სატანები და ჯინთა ურჩი წარმომადგენლები ჯაჭვებით შებოჭილნი იქნებიან, ამიტომ ვერ შეძლებენ იმ ზიანის მოყენებას, რასაც რამადანის გარდა სხვა თვეებში ახერხებდნენ. და ეს ყველაფერი ამ თვის განდიდებაა და წახალისება მოქმედთათვის, რათა გაამრავლონ თაყვანისცემა, ლოცვა, ქველმოქმედება, ზიქრი, ყურანის კითხვა და სხვა კეთილი საქმეები, ასევე შეიკავონ თავი ცოდვებისა და ურჩობისგან.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/10107

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee